

შპს ჯორჯიან სერვის გრუპი - თანხები მოცემულია ლარში

შპს ჯორჯიან სერვის გრუპი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

(არააუდირებული)

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	3
მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	5
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება.....	6
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	7
1. ზოგადი ინფორმაცია	7
2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები.....	7
3. ძირითადი საშუალებები.....	13
4. არამატერიალური აქტივი	13
5. ფული და ფულის ექვივალენტები.....	13
6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	14
7. მარაგები.....	14
8. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები.....	15
9. საგადასახადო ვალდებულება.....	15
10. ამონაგები და თვითღირებულება	15
11. სხვა შემოსავლები	15
12. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი.....	16
13. სხვა შემოსულობა/ზარალი.....	16
14. სხვა ხარჯები	16
15. ფინანსური ხარჯი.....	16
16. დაკავშირებული მხარეები.....	16
17. წინა პერიოდის გადაანგარიშებები და რეკლასიფიკაციები.....	17
18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	18
19. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება.....	19

შპს ჯორჯიან სერვის გრუპი - თანხები მოცემულია ლარში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნები	31-12-24	31/12/2023 - გადაანგარიშებული	31/12/2022 - გადაანგარიშებული
აქტივები		2024	2023	2022
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	3	521,724	585,780	260,300
არამატერიალური აქტივები	4	4,012	4,393	3,000
საინვესტიციო ქონება		2,415,985	2,433,240	2,433,240
		2,941,721	3,023,413	2,696,540
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	5	156,685	19,320	341,232
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	6	1,082,598	1,315,163	1,748,081
მარაგები	7	4,102	17,902	724
		1,243,385	1,352,385	2,090,037
მთლიანი აქტივები		4,185,106	4,375,797	4,786,577
მთლიანი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		1,309,601	1,827,601	1,902,371
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		2,392,299	1,394,439	904,336
		3,701,900	3,222,040	2,806,707
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები		-	-	99,832
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები		185,896	305,238	860,447
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	8	277,688	837,434	997,203
საგადასახადო ვალდებულებები	9	19,623	11,085	22,388
მთლიანი ვალდებულებები		483,206	1,153,757	1,979,870
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		4,185,106	4,375,797	4,786,577

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2025 წლის 1 ოქტომბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი:



ვიტალი სერგია

შპს ჯორჯიან სერვის გრუპი - თანხები მოცემულია ლარში

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენიშვნები	2024	2023 - გადაანგარიშებული
ამონაგები	10	14,723,891	12,329,908
თვითღირებულება		(12,125,803)	(10,064,180)
საერთო მოგება		2,598,088.00	2,265,728.00
სხვა შემოსავლები	11	-	75,542
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	12	(1,574,772)	(1,778,103)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	13	35,685	(17,968)
სხვა ხარჯები		(42,015)	-
საოპერაციო მოგება		1,016,986.00	545,199.00
ფინანსური შემოსავალი		19,667	4,595
ფინანსური ხარჯი	14	(38,793)	(59,691)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(19,126.45)	(55,096.00)
მოგება დაბეგვრამდე		997,859.55	490,103.00
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		997,859.55	490,103.00
მთლიანი სრული შემოსავალი		997,859.55	490,103.00

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2025 წლის 1 ოქტომბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი:



ვიტალი სერგია

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელ	მთლიანი კაპიტალი
2022 წლის 31 დეკემბერი	1,902,371	904,336	2,806,707
წმინდა მოგება			
სხვა სრული შემოსავალი			
პერიოდის სრული შემოსავალი		490,103	490,103
გაცემული დივიდენდი			
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	(74,770)		(74,770)
2023 წლის 31 დეკემბერი	1,827,601	1,394,439	3,222,040
წმინდა მოგება			
სხვა სრული შემოსავალი			
პერიოდის სრული შემოსავალი		997,860	997,860
გაცემული დივიდენდი			
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	(518,000)		(518,000)
2024 წლის 31 დეკემბერი	1,309,601	2,392,299	3,701,900

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2025 წლის 1 ოქტომბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი



ვიტალი სერგია

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	2024	2023
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	772,267	744,976
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	1,442	-337,878
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(637,342)	(729,811)
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	136,367	(322,713)
სავალუტო კურსის ეფექტი	998	801
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისათვის	19,320	341,232
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	156,685	19,320

დირექტორი



ვიტალი სერგია

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება (შემდგომში ფინანსური ანგარიშგება) მოიცავს შპს ჯორჯიან სერვის გრუპის (ს/კ 215127565) შემდგომში – კომპანია და მისი შვილობილი კომპანიის შპს “ჯი ეს ჯი ფრეით ფორვარდინგის” ფინანსურ ინფორმაციას.

კომპანია დაარსდა 2005 წლის 6 ივნისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიულ-სამართლებრივი ფორმა არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს).

კომპანიის იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, მთაწმინდის რაიონი, პავლე ინგოროყვას ქუჩა, N 12.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის კაპიტალის 100% წილის მფლობელია: ვიტალი სერგია (პ.ნ.58001003080), რომელიც ასევე წარმოადგენს კომპანიის გენერალურ დირექტორს.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საკუთარი ან იჯარით აღებული ქონების გაქირავება.

კომპანიას დაფუძნებული აქვს შვილობილი კომპანიები:

- შპს „ჯი ეს ჯი ფრეით ფორვარდინგ“ (ს.ნ. 404525493) 100%-იანი წილის ფლობით, 2016 წლის 23 დეკემბერს.
- შპს „ალასკა“ (ს.ნ. 404562077) 50%-იანი წილის ფლობით 2018 წლის 8 აგვისტოს.

შპს „ჯი ეს ჯი ფრეით ფორვარდინგის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო გადაზიდვები (ფრეით ფორვარდინგი). კომპანია უზრუნველყოფს სატრანსპორტო-ლოჯისტიკურ მომსახურებას, მათ შორის ტვირთების ეფექტიან ორგანიზებასა და მარშრუტების დაგეგმვას, პარტნიორებთან კოორდინაციას, საბაჟო პროცედურების მხარდაჭერას და შიდა თუ საერთაშორისო გადაზიდვების სრულ ციკლს, ასევე ტვირთის ექსპედიციას და სხვა სერვისებს.

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

2.1. მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოადგენილია ქართულ ლარში, რომელიც წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას. მსს ფასს სტანდარტის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მოითხოვს სამეურნეო ოპერაციებისათვის და მოვლენებისათვის სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასა და თანმიმდევრულ გამოყენებას. კომპანიის მიერ მსს ფასს-ის პირველად გამოყენების თარიღი არის 2018 წლის 1 იანვარი. კომპანია ფინანსურ

ანგარიშგებას ამზადებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული სარეკომენდაციო მითითების მიხედვით „მესამე კატეგორიის საწარმოებისთვის და მესამე კატეგორიის ჯგუფებისთვის 2018 წლის ფინანსური ანგარიშგებისთვის მსს ფასს სტანდარტის პირველად გამოყენებასთან დაკავშირებით“ და კომპანიის მიერ წარდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2024 წლის დასაწყისისთვის და დასასრულისთვის, 2024 წლის სრული შემოსავლის და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას და შესაბამის განმარტებით შენიშვნებს. კომპანია არ წარადგენს ფულადი ნაკადების ანგარიშგებას.

2.2. კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიის და მის კონტროლს დაქვემდებარებული შვილობილი კომპანიების ფინანსურ ინფორმაციას. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც კომპანიას:

- აქვს გავლენა ინვესტიციის ობიექტზე;
- იღებს ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება; და
- შეუძლია თავისი გავლენის გამოყენება უკუგებაზე ზემოქმედებისთვის.

კომპანია ხელახლა აფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტიციის ობიექტს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის ზემოაღნიშნული სამი ელემენტიდან ერთ-ერთში ცვლილებებია მომხდარი.

როდესაც კომპანია ინვესტიციის ობიექტში უმრავლესობაზე ნაკლებ ხმებს ფლობს, მას გავლენა ექნება ინვესტიციის ობიექტზე, თუ ხმის უფლება საკმარისია, რომ მას ჰქონდეს პრაქტიკული უნარი ერთპიროვნულად წარმართოს ინვესტიციის ობიექტის შესაბამისი საქმიანობა. იმის შეფასებისას, კომპანიის ხმის უფლება საკმარისია თუ არა ინვესტიციის ობიექტზე გავლენის განსახორციელებლად, კომპანია ყველა შესაბამის ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს, მათ შორის:

- კომპანიის ხმის უფლებათა რაოდენობა სხვა მფლობელების ხმის უფლებების რაოდენობასა და
- გაზნევასთან შედარებით;
- კომპანიის, სხვა მფლობელებისა და სხვა მხარეების პოტენციური ხმის უფლებები;
- სხვა სახელშეკრულებო გარიგებებიდან წარმომდგარი უფლებები; და
- ნებისმიერი დამატებითი ფაქტი ან გარემოება, რომელიც მიანიშნებს იმაზე, რომ კომპანიას ამჟამად აქვს, ან არ აქვს უნარი, მართოს შესაბამისი საქმიანობა ისეთ დროს, როდესაც გადაწყვეტილებების მიღებაა საჭირო, მათ შორის ხმის მიცემის გამოცდილება წინა პარტნიორობის კრებებზე.

შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც კომპანია კარგავს კონტროლს შვილობილ საწარმოზე. კერძოდ, წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული შვილობილი კომპანიის შემოსავალი და ხარჯები აღირიცხება მოგებაზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იმ თარიღიდან, როდესაც კომპანია იძენს კონტროლს, იმ თარიღამდე, როდესაც კომპანიის კონტროლი შვილობილ კომპანიაზე წყდება. საჭიროების შემთხვევაში ხდება შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგების დაკორექტირება, რათა მათი სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაში მოვიდეს ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკასთან.

ჯგუფის წევრებს შორის შემდგარ გარიგებებთან დაკავშირებული ყველა შიდაჯგუფური ვალდებულება, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯი და ფულადი ნაკადი კონსოლიდაციისას მთლიანად გაიქვითება.

2.3. ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებაზე. მენეჯმენტის შეფასებით, კომპანია გააგრძელებს ფუნქციონირებად საწარმოდ საქმიანობას, რეალიზებას გაუკეთებს აქტივებს და დაფარავს ვალდებულებებს ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში.

2.4. წარმოდგენილი ანგარიშგების ვალუტა

ჯგუფის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე. უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
1 აშშ დოლარი/ ლარი	2.8068	2.6894
1 ევრო/ლარი	2.9306	2.9753

2.5. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების

ცვლილებისუმნიშვნელო რისკს.

2.6.სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია მათი გარიგების ფასით. გაუფასურების რეზერვი ფორმირდება იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ თანხას. კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას როგორც სავაჭრო და სხვა მოთხოვნების, ასევე სახელშეკრულებო აქტივების აღრიცხვისას და ზარალის რეზერვს აღიარებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის სახით ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მთელ პერიოდში. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი წარმოადგენს სავარაუდო დეფიციტს სახელშეკრულებო ფულად ნაკადებში, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ფინანსური აქტივის მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე. ზარალის ოდენობის დადგენისას კომპანია ეფუძნება საკუთარ ისტორიულ მონაცემებს, შესაბამის გარე ფაქტორებს და საპროგნოზო ინფორმაციას.

2.7.ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველთვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა.

ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგება შესყიდვის ფასისგან.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა.

2.8.ცვეთა

ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით, რათა მოხდეს მათი შესყიდვისხარჯის გადანაწილება მათი სასარგებლო ვადის განმავლობაში.

სასარგებლო გამოყენების ვადა
(წელი)

ოფისის აღჭურვილობა	5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5
ტრანსპორტი	10

2.9.პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესამაბისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

2.10. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

მარაგების ღირებულება განისაზღვრება უმცირესით ხარჯსა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება ნორმალური ბიზნესის მიმდინარეობის პირობებში გასაყიდ ფასსა და დასრულებისა და გაყიდვის მოსალოდნელ ხარჯებს შორის სხვაობით. ყოველ ანგარიშგების დღეს, მარაგები შეფასებულია გაუფასურებისთვის.

2.11. სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გამოკლებული სესხთან დაკავშირებული გაცემის ხარჯებით. სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, სესხები აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ხოლო სხვაობა თვითღირებულებასა და გამოსყიდვის ღირებულებას შორის აისახება მოგებაში ან ზარალში, სესხების პერიოდის განმავლობაში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. პროცენტები და სხვა ხარჯები, რომლებიც გაწეულია სესხებზე, მიეკუთვნება ფინანსურ ხარჯებს.

2.12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები აღრიცხულია ამორტიზირებული ღირებულებით, რაც ასახავს მათ თავდაპირველ აღიარებას მინუს შემდგომში განხორციელებულ გადახდებსა და დაგროვილ ეფექტურ საპროცენტო ხარჯს, საჭიროების შემთხვევაში

2.13. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

დაშვებები და მსჯელობები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას, ამასთან გაითვალისწინება სხვა ფაქტორებიც, როგორებიც არის მომავალი მოვლენების განვითარებასთან დაკავშირებული მოლოდინები, რომლებიც კონკრეტულ სიტუაციაში გონივრულად მიიჩნევა

2.14. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები

კომპანია შეფასებებს აკეთებს სამომავლო ფაქტორების გათვალისწინებით. მიღებული სააღრიცხვო შეფასებები, შესაძლოა განსხვავებული იყოს რეალურ შედეგისაგან. შეფასებები და დაშვებები, რომლებიც შეიცავს მნიშვნელოვან რისკს

სამომავლოდ აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების კორექტირების საჭიროებისა, განხილულია ქვემოთ:

2.14.1. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ხელმძღვანელობამ შეაფასა ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის ხანგრძლივობა. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ეს შეფასებები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ამ აქტივების ეკონომიკური მომსახურების ვადის ხანგრძლივობისგან. თუ რეალური სასარგებლო მომსახურების ვადა განსხვავდება ამ შეფასებებისგან, მაშინ ფინანსური ანგარიშგებები არსებითად განსხვავებული იქნება.

2.14.2. გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია პერიოდულად აფასებს აქტივების საბალანსო ღირებულების ანაზღაურებადობას. როდესაც ფაქტები და გარემოებები მიუთითებენ აქტივების საბალანსო ღირებულების შესაძლო გაუფასურებაზე, კომპანია აფასებს ასეთი აქტივების ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებისთვის კომპანია აკეთებს დაშვებებს მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

2.14.3. ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

3. ძირითადი საშუალებები

	შენიშვნები	ოფისის აღჭურვილობა	ავტო და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	მანქანა- დანადგარები	სულ
31 დეკემბერი, 2023	206 353	37 104	15 805	199 203	351 917	810 382
შემოსვლა						0
გასვლა						0
31 დეკემბერი, 2024	206 353	37 104	15 805	199 203	351 917	810 382
ცვეთა და გაუფასურება	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი, 2023	(68 245)	(33 635)	(12 743)	(102 755)	(7 226)	(224 604)
პერიოდის ცვეთა	(6 921)	(1 546)	(1 398)	(19 099)	(35 090)	(64 054)
გასვლა						
31 დეკემბერი, 2024	(75 166)	(35 181)	(14 141)	(121 854)	(42 316)	(288 658)
წმინდა საბალანსო ღირებულება	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი, 2023	138 108	3 469	3 062	96 448	344 691	585 778
31 დეკემბერი, 2024	131 187	1 923	1 664	77 349	309 601	521 724

4. არამატერიალური აქტივი

	2024	2023
პროგრამული უზრუნველყოფა	13,518	13,518
ამორტიზაცია	(9,506)	(9,125)
სულ	4,012	4,393

თვითღირებულება ძირითადად მოიცავს ჯიესჯი ფრეით ფორვარდინგის თვითღირებულებას - სროგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო სატრანსპორტო კომპანიების მომსახურების და შენახვის ხარჯებს, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია კონკრეტული კონტრაქტიდან მიღებულ შემოსავალთან. კომპანია კონკრეტული გადაზიდვის შესრულების მიზნით ქირაობს შესაბამის სატრანსპორტო კომპანიას, და აღნიშნული ხარჯები ასახულია როგორც შემოსავალთან პირდაპირ კავშირში მყოფი ხარჯები.

5. ფული და ფულის ექვივალენტები

	2024	2023
ნაღდი ფული სალაროში		
ეროვნული ვალუტა ბანკში	110,382	16,315
უცხოური ვალუტა ბანკში	46,304	3,006
სულ	156,685	19,320

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2024	2023
სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	887,886	991,252
მეკავშირე საწარმოს ვალის კორექტირება კონსლიდაციის მიზნებისთვის	(19,044)	(18,495)
გადახდილი ავანსები	172,424	300,965
საგადასახადო აქტივი		
სხვა მოვლევადიანი მოთხოვნები	41,332	41,441
სულ	1,082,598	1,315,163

ანარიცხები

სავაჭრო მოთხოვნების ანარიცხები	31.12.2024	31.12.2023
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო მოთხოვნები	1 437 822	991 252
საექვო მოთხოვნების ანარიცხები	(549 936)	-
	887 886	991 252
არაფინანსური აქტივები		
გადახდილი ავანსები	360 302	300 965
გადახდილი ავანსების ანარიცხები	(187 878)	-
	172 424	300 965
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1 058 910	1 009 364
	31.12.2024	31.12.2023
ანარიცხი 1 იანვრისთვის		
ანარიცხი აღიარებული წლის მანძილზე	(737 814)	-
სავაჭრო მოთხოვნების და გადახდილი ავან	-	-
სავაჭრო მოთხოვნების და გადახდილი ავან	-	-
ანარიცხი 31 დეკემბრისთვის	(737 814)	-

მოთხოვნის ყველა თანხა არის მოვლევადიანი.

სავაჭრო მოთხოვნების წმინდა საბალანსო ღირებულება უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებასთან.

სავაჭრო მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება.

7. მარაგები

	2024	2023
საქონელი	4,102	17,902
სულ	4102	17,902

8. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	2024	2023
სავაჭრო ვალდებულებები	273,401	835,640
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	4,287	1,794
მიღებული ავანსები		
სულ	277,687	837,434

9. საგადასახადო ვალდებულება

	2024	2023
საგადასახადო ვალდებულებები	19,623	11,085
სულ	19,623	11,085

10. ამონაგები და თვითღირებულება

	2024	2023
ამონაგები გადაზიდვებიდან	14305164	11995404
ამონაგები იჯარიდან	369791	291067
სხვა შემოსავლები	48936	43437
სულ	14,723,891	12,329,908

შემოსავლები მოიცავს კომპანია ჯორჯიან სერვის გრუპის იჯარიდან მიღებულ შემოსავლებს და ასევე ჯიესჯი ფრეით ფორვარდინგის სატრანსპორტო მომსახურებიდან მიღებულ შემოსავლებს. თვითღირებულება ძირითადად მოიცავს ჯიესჯი ფრეით ფორვარდინგის თვითღირებულებას - სროგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო სატრანსპორტო კომპანიების მომსახურების და შენახვის ხარჯებს, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია კონკრეტული კონტრაქტიდან მიღებულ შემოსავალთან. კომპანია კონკრეტული გადაზიდვის შესრულების მიზნით ქირაობს შესაბამის სატრანსპორტო კომპანიას, და აღნიშნული ხარჯები ასახულია როგორც შემოსავალთან პირდაპირ კავშირში მყოფი ხარჯები.

11. სხვა შემოსავლები

	2024	2022
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული წმინდა შემოსავალი	-	75,542
სულ	0	75,542

12. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

	2024	2023
სხვა ხარჯი	(184,694)	(244,412)
შრომის ანაზღაურება და სხვა ადმ. ხარჯი	(1,281,851)	(1,384,458)
რემონტი	-	-
იჯარის ხარჯი	-	-
საწვავი	(14,005)	(17,147)
კომუნალური ხარჯები	(3,354)	(19,059)
კომუნიკაციის ხარჯები	(9,209)	(8,937)
დაზღვევის ხარჯი	-	(12,200)
საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი	(27,600)	(43,081)
ცვეთა და ამორტიზაცია	(54,059)	(48,809)
მივლინების ხარჯები	-	-
სულ	(1,574,772)	(1,778,103)

13. სხვა შემოსულობა/ზარალი

	2024	2023
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)	35,685	(17,968)
სულ	35,685	(17,968)

14. სხვა ხარჯები

	2024	2023
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(42,015)	0
სულ	(42,015)	0

15. ფინანსური ხარჯი

	2024	2023
საპროცენტო ხარჯი	(38,793)	(59,691)
სულ	(38,793)	(59,691)

16. დაკავშირებული მხარეები

კომპანიის დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენს დედა კომპანია და კომპანიის მენეჯმენტი. მეკავშირე საწარმოსგან და ხელმძღვანელობის კონტროლ ქვეშ მყოფი საწარმოსგან მომსახურების შეძენა მოხდა საბაზრო პირობებით.

დაკავშირებული მხარეების შორის ვალდებულება წარმოშობილია მომსახურების

გაწევის შედეგად. ვალდებულებას არ ერიცხება საპროცენტო ხარჯები.

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელდა შემდეგი ოპერაციები:		
მომსახურების მიწოდება:		
	2024	2023
მეკავშირე საწარმო	0	0
სულ	0	0
დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციების დაუფარავი		
	2024	2023
მოთხოვნა დაკავშირებული მხარეებისადმი		
შვილობილი კომპანიისგან მიღებული სესხი და გადასახდელი პროცენტები	227040	0
შვილობილ კომპანიაზე გაცემული სესხი	0	159315,88
მეკავშირე საწარმო	19 044	18 495
სულ	246 084	177 811
დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული		
	2024	2023
შრომის ანაზღაურება მთლიანად	949 539	1 124 038
სულ	949 539	1 124 038

17. წინა პერიოდის გადაანგარიშებები და რეკლასიფიკაციები

კომპანია წინა 2024 და 2023 პერიოდების მნიშვნელოვან გამორჩენილ ინფორმაციასა და შეცდომებს რეტროსპექტიულად ასწორებს ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებაში, რა მიზნითაც გადააფასებს წინა პერიოდების იმ შესადარის თანხებს, რომლებშიც მოხდა მონაცემის გამოტოვება ან მცდარი ასახვა და თუ შეცდომა მოხდა უფრო ადრეულ წინა პერიოდებში, მაშინ გადააფასებს ამ აქტივების, ვალდებულებისა და კაპიტალის აღნიშნული ადრეული წინა პერიოდების საწყის ნაშთებს.

მიმდინარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია წინა პერიოდების განმავლობაში დაშვებული რამდენიმე შეცდომის გასწორება:

„ალასკა“ შპს – წინა პერიოდში შეცდომით იქნა კონსოლიდირებული აღნიშნული ერთეულის ფინანსური შედეგები. კომპანიას აქვს 50%-იანი წილი, თუმცა IFRS 10-ის შესაბამისად კონტროლი არ გააჩნია, ამიტომ მისი კონსოლიდაცია არ იყო შესაბამისი. მიმდინარე წელს შეცდომა გამოსწორებულია, შედარებითი მაჩვენებლები გადახედილია და „ალასკას“ ფინანსური შედეგები აღარ არის ასახული კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში. აღსანიშნავია, რომ „ალასკას“ მაჩვენებლები მნიშვნელოვნად მცირე იყო და შესაბამისად მისი არასწორი ასახვა მთელ კონსოლიდირებულ შედეგებზე არსებით გავლენას არ ახდენდა.

„შპს ჯი ეს ჯი ფრეით ფორვარდინგი“ (შვილობილი კომპანია) – აღნიშნულ შვილობილში გამოვლენილი წინა პერიოდების შეცდომები გასწორებულია მიმდინარე ანგარიშგებაში IAS 8-ის შესაბამისად. შესაბამისად, შედარებითი მაჩვენებლები გადახდილია. ყველაზე არსებითი არის 2022 წელს მოგება ზარალის ანგარიშგების თვითღირებულებაში ასახული თანხა, რომელიც რეალურად იყო ძირითადი საშუალების შესაძენად გადახდილი ავანსი, რომლის მოწოდებაც მოხდა 2023 წელს. ამის გამო დაკორექტირდა შესაბამისი მუხლები 2022-2023 წლებში.

კომპანია ჯორჯიან სერვის გრუპ – თავად დედა კომპანიის დონეზეც გამოვლენილი იქნა წინა პერიოდების გარკვეული შეცდომები, რომლებიც ასევე გამოსწორებულია. აღნიშნული კორექტირებები ასახულია მიმდინარე ანგარიშგებაში და მათი ეფექტი ასახულია როგორც დედა კომპანიის ინდივიდუალურ, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ მაჩვენებლებში.

ამრიგად, მიმდინარე ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა აღმოჩენილი შეცდომა გამოსწორებულია და ცვლილებები სრულად აისახა როგორც შედარებით მაჩვენებლებში, ასევე შესაბამის შენიშვნებში.

წინა პერიოდის გადაანგარიშებები და რეკლასიფიკაციები			
მუხლი	თანხა ცვლილებამდე (31/12/2023)	კორექტირება	თანხა ცვლილების შემდეგ (31/12/2023)
ძირითადი საშუალებები	591,667	(5,887)	585,780
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	1,520,426	(205,263)	1,315,163
საწესდებო კაპიტალი	1,843,799	(16,198)	1,827,601
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	905,015	489,424	1,394,439
მოკლევადიანი სესხები	395,186	(89,948)	305,238
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	1,431,484	(594,049)	837,434
მუხლი	თანხა	კორექტირება	თანხა
ძირითადი საშუალებები	273,540	(13,240)	260,300
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	1,353,162	394,919	1,748,081
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	492,434	411,902	904,336
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	1,028,522	(31,319)	997,203

18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

მნიშვნელოვანი მოვლენები რომლებიც შეიძლება აისახოს ამ ფინანსურ ანგარიშგებაში საანგარიშგებო პერიოდის ბოლოდან ხელმოწერის თარიღამდე არ მომხდარა

19. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია კომპანიის მფლობელის მიერ 2025 წლის 1 ოქტომბერს.

შპს ჯორჯიან სერვის გრუპის დირექტორი:

ვიტალი სერგია


